

## საკონკურსო ესკიზების განხილვა-შერჩევა

მეფე ერეკლე II-ის თემაზე (სერიიდან „საქართველოს მეფეები“) გამოსაშვები საკოლექციო დანიშნულების 5 ლარის ნომინალის ვერცხლის და ოქროს მონეტების დიზაინის ესკიზების შესარჩევად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2020 წლის 18 თებერვალს გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე 2020 წლის 20 მარტის ჩათვლით წარმოდგენილი საკონკურსო ესკიზების განხილვისა და გამარჯვებული ესკიზის გამოვლენის ვადა 1 თვით გადაიწია. ეს გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნულ ბანკში შექმნილმა „ლარის ბანკნოტებისა და მონეტების ესკიზების შერჩევის“ კომისიამ COVID-19 ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, საკონკურსო ესკიზების განხილვა-შერჩევასა და გამარჯვებულის გამოვლენასთან დაკავშირებული პროცედურების ტექნიკური მიზეზით გაჭიანურების გამო მიიღო.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მეფე ერეკლე II-ის თემაზე (სერიიდან „საქართველოს მეფეები“) გამოსაშვები საკოლექციო დანიშნულების 5 ლარის ნომინალის ვერცხლის და ოქროს მონეტების დიზაინის ესკიზების განხილვა-შერჩევის პროცესის დასრულება და გამარჯვებული ესკიზის გამოვლენა მოხდება არაუგვიანეს 2020 წლის 21 მაისისა.